



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

“21” აგვისტო “ 2018 წელი

N 56/36

ეგზ: N1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები.....	3
ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	6
1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	6
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	6
1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	6
1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	7
1.2.3 ძირითადი აქტივები	7
1.2.4 საინვესტიციო ქონება.....	8
1.2.5 გრანტები (შემოსავალი).....	8
1.2.6 სხვა შემოსავლები	9
1.2.7 გრანტები (ხარჯები)	9
1.2.8 არასასაპერაციო შემოსავლები	9
1.2.9 კონსოლიდაციის პროცესი.....	10
2. სხვა მნიშვნელოვან საკითხთა აზიზი.....	11
2.1 ვადაგადაცილებული მოთხოვნები	11
2.2 მოგების გადასახადის გაანგარიშება	12
2.3 ინვენტარიზაცია.....	12
2.4 შრომის ანაზღაურება.....	12
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	14
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	15
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი).....	17
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში.....	18
ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში.....	19
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში	20
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში	21

ტერმინთა განმარტებები

აღრიცხვის ინსტრუქცია - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

გარემოს დაცვის სამინისტრო - ყოფილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

გარემოს სააგენტო - სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;

დაცული ტერიტორიების სააგენტო - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო;

ლაბორატორია - სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორია;

პროექტების მართვის სააგენტო - ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;

სატყეო სააგენტო - სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;

საშენი მეურნეობა - სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობა;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სურსათის სააგენტო - სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ

სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მართვა და ხელშეწყობა. სამინისტროს ძირითადი ამოცანებია: შესაბამისი მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ბუნებრივი რესურსების მართვა და სახელმწიფო კონტროლი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, აგრარული რეფორმები, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა და სხვ.

2017 წლის 7 დეკემბერს კანონში¹ შეტანილი ცვლილების თანახმად, შეიქმნა ახალი სამინისტრო - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ახალი სამინისტრო გახდა ორი ყოფილი სამინისტროს უფლებამოსილება და შეითავსა მათი ფუნქციები და უფლებამოსილებანი. ეს სამინისტროებია: 1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ აღრიცხვის ინსტრუქციის² შესაბამისად, მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ყოფილი ორი სამინისტროს ყველა საბალანსო ერთეულს.

ცხრილი N1. სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა, დაზუსტებული გეგმა და საკასო შესრულება (ათას ლარებში):

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	358,695	364,820	368,068
	ხარჯები	213,097	222,125	224,631
	მათ შორის, შრომის ანაზღაურება	40,175	40,471	40,659
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,490	11,403	14,867
	ფინანსური აქტივების ზრდა	136,108	131,271	128,552
	ვალდებულებების კლება	-	21	18
37 00	ყოფილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	322,995	328,995	329,098
	ხარჯები	184,372	194,939	196,096
	მათ შორის, შრომის ანაზღაურება	22,005	21,995	21,969
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,515	2,771	4,439
	ფინანსური აქტივების ზრდა	136,108	131,271	128,552
	ვალდებულებების კლება	-	14	11
38 00	ყოფილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	35,700	35,825	38,970
	ხარჯები	28,725	27,186	28,535
	მათ შორის, შრომის ანაზღაურება	18,170	18,476	18,690
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,975	8,632	10,428
	ვალდებულებების კლება	-	7	7

¹ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 2017 წლის 7 დეკემბრის ცვლილება.

² 89-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების³ გადანაწილების შესახებ (ათას ლარებში):

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	368,068⁴	100%
სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	117,925	32.0%
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი	5,135	1.4%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	123,060	33.4%
ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	117,558	31.9%
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	54,020	14.7%
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	22,877	6.2%
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	11,710	3.2%
სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	10,050	2.7%
სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	8,949	2.4%
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	8,452	2.3%
სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	5,038	1.5%
სსიპ - სოფლის მეურნეობის ლაბორატორია	2,732	0.74%
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	1,928	0.50%
სსიპ - ბირთვული და რადიაციული ცენტრი	904	0.25%
სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა	531	0.14%
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	258	0.07%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული საბალანსო ერთეულები	245,008	66.6%

³ ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N2-ის“ მიხედვით შემოსავლებმა, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შეადგინა 1,084,415 ათასი ლარი, საიდანაც 1,004,046 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროების გაერთიანების შედეგად გრანტის სახით მიღებულ შემოსავალს, ხოლო 80,369 ათასი ლარი შეადგენს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების შემოსავლებს.

⁴ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 368,068 ლარი, საიდანაც 245,008 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ყველა საბალანსო ერთეულის დაფინანსებას, გარდა ყოფილი (გაერთიანებული) სამინისტროების აპარატების დაფინანსებისა. აღნიშნული სამინისტროების აპარატების დაფინანსებამ ჯამში შეადგინა 123,060 ათასი ლარი, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N2) ასახულია გრანტის სახით მიღებულ შემოსავალში.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს⁵ მოცემული თარიღით დასრულებული საღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსის სახით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები დონორი ორგანიზაციის (KFW) მიმართ, შესაბამისად, 397,726 ლარის და 1,589,727 ლარის ოდენობით. პროექტი დასრულდა 2014 წელს⁶ და გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო ჩაბარებულია. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დებიტორული დავალიანების მოთხოვნის უფლება აღარ არსებობს და აღრიცხვის ინსტრუქციის⁷ მიხედვით, ექვემდებარება ჩამოწერას. აპარატისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ დონორ ორგანიზაციასთან კომუნიკაციის მიუხედავად, პირველადი დოკუმენტაცია არ არის მიწოდებული.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 70,772 ლარის ოდენობის მოთხოვნები, რომლებზეც არ არიან იდენტიფიცირებული ანგარიშვალდებული პირები. 2007-2011 წლებში ტერიტორიული ორგანოების (სატყეო მეურნეობები) გაუქმების შედეგად, მათ ბალანსზე რიცხული დანაკლისები, პირველადი დოკუმენტაციის არსებობის გარეშე, აღირიცხა სატყეო სააგენტოს ბალანსზე. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ სატყეო მეურნეობების ბალანსში არ იყო მოცემული ინფორმაცია დანაკლისების შესახებ, სატყეო სააგენტო ვერ ახორციელებს ანგარიშვალდებული პირების იდენტიფიცირებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ვერ წარმოუდგენეს მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ანგარიშვალდებული პირების იდენტიფიცირებისათვის განხორციელდა ღონისძიებები.

⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით (იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.sao.ge).

⁶ ESTABLISHMENT OF THE JAVAKHETI NATIONAL PARK IN GEORGIA FINAL REPORT.

⁷ 43-ე მუხლის 26-ე პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ საბოლოო ნაშთი 1,987,453 ლარის ოდენობით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო იმავე ანგარიშზე 70,772 ლარის ნაშთის არსებობის შესახებ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება.

1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები

დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორიისა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია, შესაბამისად, 815,496 ლარის საწყობიდან გაცემული და ექსპლოატაციაში მყოფი, 53,352 ლარის გამოსაყენებლად უვარგისი და 49,082 ლარის, ასევე გამოსაყენებლად უვარგისი სხვა მატერიალური მარაგები, საერთო თანხით – 917,930 ლარი, რომელიც აღრიცხვის ინსტრუქციის⁸ შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას.

სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 119,688 ლარის ღირებულების უკანონოდ მოჭრილი და ჩამორთმეული ხე-ტყე, რომლის განკარგვის უფლება სატყეო სააგენტოს არ გააჩნია, ვინაიდან არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, აღნიშნული მარაგი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მატერიალური მარაგების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია 917,930 ლარით, ხოლო ფორმა N1-ში 119,688 ლარის ღირებულების „სხვა მატერიალური მარაგების“ საბოლოო ნაშთის არსებობასა და საკუთრების უფლებაზე ვერ მივიღეთ რწმუნება. აღნიშნული გავლენას ახდენს კაპიტალის ფორმირებაზე.

1.2.3 ძირითადი აქტივები

ქვემოთ მოცემული 14,322,866 ლარის ძირითადი აქტივების ნაშთის შესახებ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები:

- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ყოფილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 635,044 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობა, რომლის სიზუსტეზე დამადასტურებელი დოკუმენტაცია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ვერ იქნა მოწოდებული;
- სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ასახული 1,943,728 ლარის შენობებზე წარმოშობის დოკუმენტაცია არ იძებნება. აქედან, გარემოს სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია თუ სად მდებარეობს 1,816,078 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა. 362,413 ლარის შენობაზე არ დასტურდება სარგებლობის უფლება, ხოლო ქ. ბათუმში მდებარე 31,506 ლარის ღირებულების შენობა ფიზიკურად აღარ არსებობს;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ 4,845,024 ლარის ძირითადი აქტივების ღირებულების სიზუსტეზე ვერ მოვიპოვეთ რწმუნება. აღნიშნული აქტივების პირველად დოკუმენტაციაში, ნაცვლად თითოეული აქტივის ღირებულებისა, მოცემული იყო მათი საერთო ღირებულება. შესაბამისად, აღნიშნული ძირითადი აქტივების ღირებულებები დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე სათანადო შეფასების გარეშე გადანაწილდა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მათზე დასარიცხი ცვეთის ხარჯისა და საბალანსო ნაშთის ზუსტად განსაზღვრა;
- სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბალანსზე ასახულია 6,505,151 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომელთა თვითღირებულება მოიცავს მათზე დამონტაჟებულ მანქანა-დანადგარების ღირებულებებს. ვინაიდან ვერ მოვიპოვეთ აღნიშნული მანქანა-დანადგარების რეესტრი, შეუძლებელია მათი ღირებულებისა და დასარიცხი ცვეთის

⁸ 68-ე მუხლის 32-ე პუნქტი.

ხარჯის განსაზღვრა. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 6,505,151 ლარის აქტივების ღირებულების სიზუსტეზე.

სამინისტროს ბალანსზე ასახულია 3,499,451 ლარის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული აქტივები, რომლის განკარგვის უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მიკუთვნებული აქვს მუნიციპალიტეტებს:

- გარემოს სააგენტოს ბალანსზე ასახულია 2,510,692 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი კედლები, საიდანაც 368,257 ლარის ღირებულების აქტივების იდენტიფიცირებას სააგენტო ვერ ახდენს. გარემოს სააგენტოს არ გააჩნია⁹ აღნიშნული აქტივის განკარგვისა და კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად (გრანტი) ჩამოწერას. აღსანიშნავია, რომ გარემოს სააგენტოს შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გაგზავნილი აქვს წერილები ნაპირსამაგრი კედლების გადაცემის მოთხოვნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე ასახულია 988,759 ლარის ღირებულების სხვა ნაგებობა - ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის წყალსადენი სისტემა, რომელზეც სამუშაოები შესრულებულია 2014-2015 წლებში. სააგენტოს არ გააჩნია¹⁰ აღნიშნული აქტივის განკარგვისა და კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად (გრანტი) ჩამოწერას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში 11,985,219¹¹ ლარის ღირებულების „ძირითადი აქტივების“ ნაშთის სიზუსტეზე, 1,975,234¹² ლარის არსებობაზე და 362,413 ლარის უფლებებზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები (ჯამში 14,322,866 ლარი). ასევე 3,499,451 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი, რაც გავლენას ახდენს კაპიტალის ფორმირებაზე.

1.2.4 საინვესტიციო ქონება

დაცული ტერიტორიების სააგენტოს, შემოსავლის მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში იჯარით გაცემული აქვს შენობები და ნაგებობები, საბალანსო ღირებულებით – 1,702,045 ლარი. აღრიცხვის ინსტრუქციის¹³ თანახმად, აღნიშნული აქტივები, ნაცვლად ძირითადი აქტივების მუხლისა, ასახული უნდა იყოს საინვესტიციო ქონების მუხლში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 1,702,045 ლარით და ამავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „საინვესტიციო ქონების“ მუხლი.

1.2.5 გრანტები (შემოსავალი)

სამეცნიერო-კვლევით ცენტრს მისთვის მართვის უფლებით გადაცემული შპს-ების კაპიტალი არ ჰქონდა ასახული სხვა აქციები და კაპიტალის ანგარიშზე. აღნიშნულ მუხლზე ასახავდა მართვის უფლებით გადაცემულ შპს-ებში მხოლოდ მის მიერ განხორციელებულ ფულად/ქონებრივ შენატანებს. სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა აღნიშნული შპს-ების კაპიტალი, 21,164,512 ლარის ოდენობით, 2017 წელს აღიარა გრანტის სახით მიღებულ შემოსავლად.

⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 107-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹ 635,044 ლარი; 4,845,024 ლარი; 6,505,151 ლარი.

¹² 1,943,728 ლარი; 31,506 ლარი.

¹³ 72-ე მუხლის 7 პუნქტი.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2016 წელს უსასყიდლოდ მიღებული აქტივები და მომსახურება, შესაბამისად, 401,365 და 51,955 ლარის ოდენობით, აღრიცხული აქვს 2017 წელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 21,617,832 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი. ფორმა N1-ში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნების“, „ძირითადი აქტივების“ და „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საწყისი ნაშთები შემცირებულად არის წარმოდგენილი, შესაბამისად, 21,164,512 ლარით, 396,910 ლარით და 4,455 ლარით, ხოლო გაზრდილად არის წარმოდგენილი ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლი – 51,955 ლარით.

1.2.6 სხვა შემოსავლები

დაცული ტერიტორიების სააგენტოში შემოსავლის აღიარება ხორციელდება საკასო მეთოდით, აგრეთვე არ არის შემუშავებული მისაღები შემოსავლების სიზუსტისა და დროულად აღრიცხვის კონტროლის მექანიზმი.

დაცული ტერიტორიების სააგენტო იჯარით გასცემს ტურისტულ ობიექტებს. სააგენტოს მიერ იჯარიდან მისაღებ შემოსავლებზე გავლენას ახდენს იჯარით გაცემული ობიექტების მიერ გამოქვეყნებული შემოსავლები. შესაბამისად, ხელშეკრულების მიხედვით მოიჯარემ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები, გადასახდელი იჯარის თანხის გამოსათვლელად. ზოგიერთ შემთხვევაში, მოიჯარეების მიერ დროულად არ არის ან არასრულყოფილად არის წარდგენილი საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები. შესაბამისად, სააგენტოს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია მოიჯარეების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, რაც ზრდის მისაღები შემოსავლების შემცირების რისკს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ტურისტული ობიექტების იჯარიდან მიღებული შემოსავლის, 383,395 ლარის, სისრულეზე.

1.2.7 გრანტები (ხარჯები)

სატყეო სააგენტოს 2016 წელს უსასყიდლოდ გადაცემული 1,571,850 ლარის მიწა გრანტის ხარჯად აღიარებული აქვს 2017 წელს, შედეგად, ამავე თანხით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში გაზრდილად არის წარმოდგენილი „ძირითადი აქტივების“ საწყისი ნაშთი და ფორმა N2-ში „გრანტის“ (ხარჯი) მუხლი.

1.2.8 არასაოპერაციო შემოსავლები

2017 წლის 5 მაისს პროექტების მართვის სააგენტომ სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოსგან შეიძინა შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის“ 100%-იანი წილი, ნომინალური ღირებულებით – 1 ლარი, რომლის კაპიტალი ამავე წლის 8 აგვისტოს განისაზღვრა 21,566,892 ლარით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია შეძენილია ნომინალური ღირებულებით, აღნიშნული წარმოადგენს არაგაცვლით ოპერაციას და შესაბამისად, გადმოცემული აქტივი, ნაცვლად „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლისა, უნდა ასახულიყო გრანტის სახით მიღებულ შემოსავლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 21,566,892 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი, ხოლო ამავე თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი ფორმა N4-ში „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი.

1.2.9 კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია (გამორიცხეს) მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები 1,760,588 ლარის ოდენობით, ხოლო 2,310,258 ლარი - ელიმინირებული არ არის¹⁴ (არ გამორიცხეს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილად არის წარმოდგენილი „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლი 603,000 ლარის ოდენობით, „გრანტის“ სახით მიღებული შემოსავალი - 1,707,258 ლარით, ხოლო „გრანტის“ სახით გაწეული ხარჯი - 2,310,258 ლარით.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

¹⁴ 39-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

2. სხვა მნიშვნელოვან საკითხთა აზიზა

2.1 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მუხლი მოიცავს 18,633,385 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში ფინანსური აქტივის მუხლით, მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სხვადასხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების შედეგად, მათ შორის, 11,441,902 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

ზემოაღნიშნული სესხების გაცემის მიზნობრიობას წარმოადგენდა სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ცხრილი N3. სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გაცემული სესხები

ორგანიზაციის დასახელება	ძირითადი თანხა	დარიცხული %	პირგასამტებლო	სულ:
შპს „სიონი-მ“	1,250,000	187,335	1,934,417	3,371,752
შპს „ალაზანი-მ“	990,000	182,875	1,805,243	2,978,118
შპს „მტკვარი-მ“	1,650,000	257,694	662,883	2,570,577
შპს „კოლხეთი-მ“	675,000	157,783	1,688,672	2,521,455
სულ:	4,565,000	785,687	6,091,215	11,441,902

საქართველოს მთავრობის 2010 წლის განკარგულებებით განხორციელდა სესხების რესტრუქტურირაცია 5 წლის ვადით. შპს „საქართველოს მელიორაცია“ შექმნილია 2012 წელს ზემოთ ჩამოთვლილი 4 კომპანიის ბაზაზე.

დანარჩენი 7,191,483 ლარის დებიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილი N4-ში:

ორგანიზაციის დასახელება	წარმოშობის წელი	სულ:
შპს „მარცვალი“	2006	1,576,750
შპს „ბეგი კომპანი“	2006	1,440,338
შპს „ღვარები“	2006	1,389,190
შპს „ერედვი“	2004	70,000
ფ.პ. ზვიად კობერიძე	2004	70,000
შპს „გორა-2003“	2004	28,072
სს „სოფლტექსერვისი“	2004	36,878
ს.დ. სამელიორაციოს სისტემის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად გადმოსული სხვადასხვა დებიტორული დავალიანება	2006	2,580,255
სულ:		7,191,483

ამერიკული ხორბლის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან მარცვლეულის მოსავლის მოყვანის პროექტში მონაწილე კომპანიებზე: შპს „მარცვალი“, შპს „ბეგი კომპანი“ და შპს „ღვარები“ 2006 წელს კონკურსით გაცემულია სესხები, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 30 ივნისის N129 დადგენილების საფუძველზე. ასევე 2004 წელს სერვისცენტრების გახსნის მიზნით, გაცემულია სესხები შემდეგ კომპანიებზე: შპს „ერედვი“, ფ.პ. ზვიად კობერიძე, შპს „გორა-2003“, სს „სოფლტექსერვისი“. აღნიშნული სესხების ჯამური თანხა 4,611,228 ლარს შეადგენს. სამინისტროს იურიდიული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დაუფარავ სესხებზე სასამართლო განჩინების საფუძველზე, მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება.

საშენი მეურნეობის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შპს „მზიური XXI-ს“ მიმართ 2012 წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 51,283 ლარის ოდენობით, რომლის ამოღების ალბათობა მცირეა.

სულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 18,684,668 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

2.2 მოგების გადასახადის გაანგარიშება

დაცული ტერიტორიების სააგენტო ვერ ახორციელებს საქმიანობის იმ ნაწილის გამიჯვნას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან. მიუხედავად ამისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის გაანგარიშებისას ერთობლივი შემოსავლებიდან საკუთარი სახსრებით გაწეულ ხარჯებს სრულად გამოიქვითავს. საგადასახადო კოდექსის¹⁵ მიხედვით, თუ ორგანიზაცია ვერ მიჯნავს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაშინ ასეთი ხარჯების გამოანგარიშებისას გამოიყენება შემოსავლების ხვედრითი წილის მეთოდი. ჩვენ *(ერთობლივ გამოქვითვებს მიკუთვნებული შრომის ანაზღაურების¹⁶ ხარჯიდან ხვედრითი წილის შესაბამისად, გამოვთავლეთ გამოსაქვითი ხარჯის ოდენობა და არ ჩავვიტარებთ დამატებითი პროცედურები მოგების გაანგარიშების მიზნით სრულად გამოქვითული ხარჯების სისწორის დადგენისათვის)* მიერ გამოთვლილი მოგების გადასახადი შეადგენს 290,699 ლარს, მოგების გადასახადის დეკლარაციის მიხედვით - 104,492 ლარს, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში “სხვა ხარჯების” მუხლში, ნაცვლად კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა, ასახულია 65,308 ლარის მოგების გადასახადი.

2.3 ინვენტარიზაცია

დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ დაუსრულებია მარაგების და აქტივების 2017 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია, კერძოდ, არ არის საინვენტარიზაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმი შედეგების შესახებ. აღნიშნულით დარღვეულია ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მოთხოვნები, ხოლო სატყეო სააგენტოს მიერ შედგენილი ოქმი შედეგების შესახებ არ პასუხობს ამავე ინსტრუქციის მე-15 მუხლის მოთხოვნებს.

2.4 შრომის ანაზღაურება

სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში სახელფასო დანამატები გაიცემოდა სხვადასხვა საფუძვლით, თუმცა დანამატის გაცემის შემთხვევაში, ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებული სამუშაოს შესრულების სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა ორგანიზაციაში არ ხდებოდა.

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე სულ 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 53,457,790 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 8,868,543 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 16.6%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების საკმარის გამჭვირვალობას, ვინაიდან, ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶ მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნით გამოქვითულია საკუთარი სახსრებიდან დაფინანსებული 4 თვის სახელფასო ფონდი.

ცხრილი N5. დანამატების ცხრილი ორგანიზაციების მიხედვით:

ორგანიზაცია	დამტკიც. საშტატო რიცხოვნ.	ფაქტობრ. დასაქმებ.	შრომ. ანაზღაურ.	დანამატი	დანამატი %
სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	374	358	7,136,485	1,112,288	30%
გარემოს დაცვის სამინისტროს აპარატი	168	167	3,377,816	976,305	29%
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	17	15	345,372	107,855	42%
სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა	12	12	357,078	124,900	35%
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	24	22	533,480	147,580	28%
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	470	436	4,350,764	1,186,647	27%
სსიპ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	391	388	5,857,315	1,230,222	21%
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	50	50	1,217,396	240,575	20%
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	331	324	5,240,965	1,010,901	19%
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	776	756	8,686,159	1,405,640	16%
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	513	490	7,887,898	1,174,361	15%
სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი	121	116	1,818,006	127,119	7%
სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	28	27	504,558	24,150	5%
ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	145	135	3,835,022	-	-
სსიპ - სოფლის მეურნეობის ლაბორატორია	144	143	2,309,476	-	-
სულ:	3,564	3,439	53,457,790¹⁷	8,868,543	17%

¹⁷ შრომის ანაზღაურება არ ედრება ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N2-ში“ მოცემულ „შრომის ანაზღაურების“ მუხლს, სხვაობის თანხა, 10,514,301 ლარი წარმოადგენს ყოფილი სამინისტროების აპარატების შრომის ანაზღაურების ჯამს.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამყდავნოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენი ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი - უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- დავასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ

გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე, აგრეთვე ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილ მნიშვნელოვან შედეგებზე, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ანა ბახტაძე

გიორგი ხადიშვილი



ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	40,251,901	21,954,968
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	58,911,013	45,065,408
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	39,284,448	16,229,565
სხვა მატერიალური მარაგები	9,689,674	8,789,065
სულ მოკლევადიანი აქტივები:	148,137,036	92,039,006
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1,334,437,702	317,538,906
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	1,808,800	1,943,973
ძირითადი აქტივები	137,669,409	112,355,289
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	18,187,054	15,861,562
საინვესტიციო ქონება	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები:	1,492,102,965	447,699,730
ბალანსი	1,640,240,001	539,738,736
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	596,556	107,942
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	14,322,470	3,300,362
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	14,919,026	3,408,304
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3,300,000	3,300,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	3,300,000	3,300,000
სულ ვალდებულებები:	18,219,026	6,708,304
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	1,584,875,475	497,830,076
გაუნაწილებელი მოგება	37,145,500	35,200,356
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი:	1,622,020,975	533,030,432
ბალანსი	1,640,240,001	539,738,736

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ:	2016 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	245,008,085	-	245,008,085	264,866,168
შემოსავლები	1,042,794,312	41,621,317	1,084,415,629	35,266,171
გრანტები	1,041,036,063	1,067,313	1,042,103,376	8,347,909
სხვა შემოსავლები	1,758,249	40,554,004	42,312,253	26,918,262
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	965,719	965,719	2,425,407
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	20,953,347	20,953,347	12,156,566
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	1,525,401	208,486	1,733,887	1,130,061
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	92,272	1,217,260	1,309,532	124,465
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	140,576	17,209,192	17,349,768	11,081,763
სულ:	1,287,802,397	41,621,317	1,329,423,714	300,132,339
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	30,142,971	12,800,518	42,943,489	42,618,062
საქონელი და მომსახურება	36,334,825	13,479,828	49,814,653	43,594,417
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	9,331,601	1,706,055	11,037,656	9,667,675
პროცენტი	-	-	-	45,702
სუბსიდიები	79,617,314	69,096	79,686,410	66,090,278
გრანტები	51,236,818	4,800,879	56,037,697	1,316,707
სოციალური უზრუნველყოფა	227,489	158,190	385,679	374,812
სხვა ხარჯები	14,604,528	5,020,601	19,625,129	94,582,422
სულ:	221,495,546	38,035,167	259,530,713	258,290,075
ფინანსური შედეგი	1,066,306,851	3,586,150	1,069,893,001	41,842,264

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	1,087,045,397	1,945,144	1,088,990,541
კორექტირებები:	(992,457,035)	(264,652)	(992,721,687)
ცვეთა	9,331,601	1,706,055	11,037,656
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება	(981,215,087)	(334,289)	(981,549,376)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება	(661,361)	(239,249)	(900,610)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება	(79,918)	215,090	135,172
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება	(28,591,811)	(2,566,786)	(31,158,597)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება	8,759,541	954,527	9,714,068
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	94,588,362	1,680,492	96,268,854
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან			
არაფინანსური აქტივების შესყიდვა			
ძირითადი აქტივები	12,171,371	5,253,560	17,424,931
არაწარმოებული აქტივები	5,527	700	6,227
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(12,176,898)	(5,254,260)	(17,431,158)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(61,786,325)	573,626	(61,212,699)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(30,305)	517,149	486,844
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(61,816,630)	1,090,775	(60,725,855)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	2,230,239	(2,472,914)	(242,675)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	1,142,235	20,812,733	21,954,968
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	4,722,619	17,154,603	21,877,222
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთა შორის სხვაობა	-	426,129	426,129

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ:
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	497,373,230	35,200,356	532,573,586
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	456,846	1,827	458,672
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	497,830,076	35,202,183	533,032,258
არასაოპერაციო შემოსავლები	24,797,029	583,008	25,380,037
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	291,866	421,321	713,187
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	24,505,163	161,687	24,666,850
არასაოპერაციო ხარჯები	2,597,739	1,616,996	4,214,735
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი	430,054	258,466	688,520
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,167,685	1,358,530	3,526,215
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	1,460,742	608,845	2,069,587
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	1,460,742	-	1,460,742
მოგების გადასახადი	-	608,845	608,845
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	1,066,306,851	3,586,150	1,069,893,001
ნაშთი წლის ბოლოს	1,584,875,475	37,145,500	1,622,020,975

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებულ ი გეგმით	დაზუსტ ებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებუ ლ და დაზუსტებუ ლ გეგმას შორის	ფაქტობ რივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებ ულ გეგმას შორის	დარიცხ ული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
ხარჯები	183,030,000		102%	189,334,233	-	221,495,545	-
მათ შორის:	-	-	-	-	-	-	-
შრომის ანაზღაურება	29,845,000	33,311,300	112%	30,144,788	90%	30,142,971	(1,817)
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,175,000	10,271,073	126%	13,738,265	134%	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	20,000,000	42,050,000	210%	41,917,000	100%	-	-
ვალდებულებების კლება	-	20,697	0%	18,586	90%	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE